572
1979

ISSN 0132-5965



# ცისარი

1979 ოქტომბერი №6

# ბავშვების საუბარი ტელეფონით

ზურაბ კუხიანიძე

— ალო!
ალო!
თბილისი!..
რაო?
რაო?
არ გესმით?
შეგაწუხეთ მილის წინ...
ჰავანიდან — სანჩესი...
ბორჯომიდან არაბეთს
ზარი სწვდება მალიო:
— როგორა მეავს ალიო,
ჩემი მეგობარიო;
გამოგზავნე ათასი
ბოთლი ჩვენი წყალიო.

როცა მოესურვებათ,
ეველა ბავშვმა დალიოს...
შავი ზღვიდან ურეკმა
ბერლინს გადაურეკა:
— აქაური ზღვის წყალი
ქვეენადაა განთქმული...
ჩვენ გერმანულს ვისწავლით,
თქვენ ისწავლეთ ქართული.—
ორთოდა ცის ქარმაშები,
კრთოდა ვარსკვლავთ ხომლები...
მთელი ქვეენის ბავშვების
რეკდნენ ტელეფონები.
არ ვიცოდი
რა მექნა,
გამეწჩია რომელი...
ავდექი და ავკრიფე
ეველა ქვეენის ნომერი:
— გამარჯობათ, სხვადასხვა
კუთხის კარგო ბავშვებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარტყელა ათასფერად
შემოგვეღლოთ გარშემო.
ცა ხარობდეს ლივლივით,
ისასხასოს მინდორმა...
გვასხარებდეთ ღიმილით,
გაუძარჯოს მშვიდობას!
დღეს რაც ჩვენ ვერ შევძელით,
ხვალ-ზეგ თქვენი ჯერია...
განა მარტო ეს წელი,
ყველა წელი თქვენია.
თუა საქმით ძართალი,
ყველა ბავშვი კარგია;
რუსია თუ თათარი,
შვედია თუ ზანგია.
თუ აქვს გული ნამდვილი,
ძმობას თუ გეფიცება,—
ხელი ძმურად გაწვდილი
ცხრა მთას იქით მიწვდება.
ჩვენთ ტკბილო ჭანგებო,

აგუგუნეთ, იალეთ...
მზე რომ მზეა, კარგებო,
თქვენს გარშემო ტრიალებს.
სალხს მზე ვინ დაუბნელოს,
თუმც სუნთქვა გაქვთ ფარფატა,
ერთად რომ შეუბერთ,
ყველა ღრუბელს გაფანტავთ....
ძერე დავდე ეურძილი,
დრო, დრო იუო გეიანი...
ისევ გატუდა დუმილი,
ისევ ზარის წკრიალი.
ისმის სიტყვა ფრანგული,
ლაპარაკი თათრული,
კილოკავი ზანგური,
საუბარი ქართული...
დედამიწას ეკლება
ტელეფონის მავთული...
როგორც ბავშვთა ხელები
ერთურთს გადახლართული.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ქ. ბათუმის ხალ. ხელ. სამ.
ბიბლიოთეკა

# პეპელა

ნინო გეზარაშვილი

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

საღამო ხანზე მინდორში ერთი პატარა ბიჭი გამოჩნდა, მხარზე თავისი ხელით გაკეთებული გრძელტარიანი პეპლების დასაჭერი ბადე ჰქონდა გადებული. აქეთ-იქით იყურებოდა, პეპლებს უთვალთვალებდა.

მინდორი მწვანედ ხასხასებდა, რომ იტყვიან, ქვაზედაც კი ბალახი იყო ამოსული. პეპლებიც ბლომად იყვნენ, მინდვრის ყვავილებს დასტრიალებდნენ. ხან ზედ მოიკალათებდნენ, თითქოს წვენს ამოსწოვდნენ, მერე კი ისევ ბალახიდან ბალახზე, ბუჩქიდან ბუჩქზე დაფრენდნენ, დაფარფატებდნენ.

ბიჭს ყველაზე ძალიან ერთი პატარა პეპელა მოეწონა. კოხტა იყო, ფრთებზე ლამაზი

ხოლები ეცლო და ფერად-ფერადი წერტილები ეყარა. პეპელა იქვე ბალბის ყვავილზე დაჯდა. ბიჭმა მაშინვე დასცხო ბადე, ბალბა მთლიანად შიგ მოაქცია. მერე ცალმხარეს ცოტათი ასწია და ფრთხილად შეყო ხელი, პეპელა უნდა გამოეყვანა, მაგრამ თითებშუა გაუსხლტა.

ბიჭუნას გული ბრაზით ავევსო: „როგორ მაჯობა ამ ერთიბეწო პეპელამ, მოიცა შენაო“!—დაემუქრა და ისევ გაეკიდა.

დაიღალა ბიჭი, ვეღარ ეწევა. მაინც მისდევს, პეპელა ვეება ბარდისკენ გაფრინდა, ბარდზე ხვიარა ყვავილია გაშლილი.

პეპელამ იფარფატა, იფარფატა ბარდის თავზე და მერე ყველაზე მაღლა გაშლილ ყვავილში შეიმალა. ბიჭი ადგილიდან ფეხს არ იცვლის, ელოდება—იქნებ გამოვიდესო, მაგრამ გამოსვლას ვინ ჩივის. პეპელა გარეთაც არ იყურება.

ელოდება ბიჭი, ელოდება და აი, საოცრება: დანდობილად ყვავილმა პირი მოკუმა, მომჩვარდა და ყინწმოწყვეტილი ძირს ჩამოეკიდა. ეგრე მოუვიდა მეორე ყვავილსაც, მესამესაც. დანარჩენები კი ისევ ყელყელაობდნენ.

მზე გორებს გადასცდა. ბინდი შეეფინა მინდორს.

— გიგი!—მოესმა ბიჭს შორიდან. დედა ეძახის. გიგი მაინც თავს არ ანებებს ბარდს. ხან იქიდან მოუარა, ხან აქედან. თითის წვერებზეც შედგა, პეპლების დასაჭერი ბადითაც სცადა, რომ დაეწოდა ყვავილი, მაგრამ მიხვდა, იქ შემწვდომი არ იყო და გამობრუნდა.

მიდის ბიჭი სახლისკენ და ისევ პეპელაზე ფიქრობს. ახლა აღარ ბრაზობს, აღარც იმუქრება, პირიქით, ეცოდება სადღაც პირმოკუმულ ყვავილში გამომწყვდეული პატარა პეპელა.

„ნეტავი რად გამოვეკიდე, იქნებ არ შეფრენილიყო იმ ყვავილშიო“. ნანობს ბიჭი.

ღამეც ვერ დაიძინა კარგად, ბორგავდა. ცუდი სიზმარი ნახა: ვითომ ვიღაცა კაცი დასდევდა დასაჭერად. ბიჭი იმალებოდა, ხან სხვენზე ახტა, ხან—ხეზე, სკივრშიაც კი ჩაძვრა, მაგრამ კაცი მაინც პოულობდა. ეგრე ყოფილა,—სიზმარში, რაც არ უნდა ეცადოს, მაინც ვერ დაიმალები.

დილით ბიჭს თითქოს დაღლილს გაეღვიძა. პეპელა მოაგონდა და ახლა უფრო შეეცოდა, გადაწყვიტა, წასულიყო და ენახა. ცოტა რომ მოდდევდა, ქლიავის ტოტიდან გრძელი კავი ჩამოიღო, მხარზე გაიდო და წავიდა.

ბარდზე ახალი თეთრი ყვავილები გაშლილიყვნენ. თავზე ფუტკრები დაბზუოდნენ. გიგიმ ადვილად ინიშნა ის ყვავილი, გუშინ პეპელა რომ შეფრინდა, უფრო ჩამომჭკნარიყო და ფერიც შეცვლოდა.

ბიჭი ბარდს გარშემო უვლიდა, თვალით ზომავდა, უნდოდა გაეგო, საიდან უფრო მისწვდებოდა იმ ყვავილს.

ბილიკზე ძროხებმა ამოიარეს. მერე ვიღაც კაციც გამოჩნდა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა და იღლიაში შვინდის სახრე ამოედო.

— მანდ რას უყურებ?—შეეკითხა ბიჭს.

— რასა და, აგე, იმ ჩამომჭკნარ ყვავილს, გუშინ საღამოს გაშლილი იყო. პეპელა შეფრინდა და შიგ მოემწყვდა.

— ჰო, ამ ყვავილმა ეგრე იცის, დაჭკნობის წინ დაიხურება ხოლმე, თითქოს თვალები დახუჭაო.

— დაიხრჩობოდა არა პეპელა?—ნაღვლიანად ჰკითხა ბიჭმა.

— რა დაახრჩობდა? თუ ჯერ სიცოცხლის ყავლი გასული არა ჰქონდა, გამოფრინდებოდა,—თქვა კაცმა და წინ წასულ ძროხებისკენ გაიქცა. ბიჭმა კი ხვიარას კავი გამოსდო და ძირს ჩამოსწია. ჩამომჭკნარი ყვავილი დიდხანს სინჯა ხელით, გადახსნა კიდეც, მაგრამ იქ პეპელის ნასახიც აღარ იყო. შიგ მხოლოდ მოყვითალო ბუსუსიანი გვირგვინი ჩანდა, მეტი არაფერი.

ბიჭი იდგა და გულში კაცის სიტყვებს იმეორებდა: „თუ სიცოცხლის ყავლი გასული არა ჰქონდა, გამოფრინდებოდაო“.

— გამოფრინდებოდა!—თქვა ბოლოს თვითონაც და გულიდან თითქოს სიმძიმე მოეხსნა. მიიხედ-მოიხედა, გუშინდელივით მწვანედ ბიბინებდა მინდორი და ბალახიდან ბალახზე ისევ დაფრინავდნენ პეპლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აჩდადეგეგი

**პაატა ნაცვლიშვილი**

ვეშურებით აგარაკებს,
ორთქმავალმა საამურად
მიაკივლა გვირაბს.
ახლა უკვე სუღერთია,—
რა ღლეა და რა რიცხვია;
შუადღეა, საღამო თუ ღიღა;
ორშაბათი, სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი,
პარასკევი, შაბათი თუ კვირა.
რასაც გინდა იმას იზამ:
ხეზე ახვალ, თუ გადახვალ ყირას,
გინდა იყოს ორშაბათი,
სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი,
პარასკევი, შაბათი თუ კვირა.
მერე მოვა სექტემბერი
და ზარები დაიწყებენ წკრიალს.
და სუღერთი არ იქნება
შუადღეა, საღამო თუ ღიღა;
რა რიცხვია, ან რა ღლეა:
ორშაბათი, სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი,
პარასკევი, შაბათი თუ კვირა.

ნახატი ნანა სულემენაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲘᲚᲐ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მოსამზადებლიდან პირველ კლასში გადასული ნუკრი და მისი უმცროსი დაიკო ლალი საზაფხულოდ ბებიასთან ჩაიყვანეს. ეზოში ყველაზე წინ ნუკრი შეფრინდა, მიიხედ-მოიხედა და ვარდ-ყვავილებშორის ბებო ელენე დაინახა, ბაღსა რწყავდა. ბიჭმა დას ანიშნა, ხმა არ ამოიღოო. ფეხის წვერებზე შემდგარი უჩუმრად შევიდა ბაღში და ბებოს წინ—მსხლის ხესთან აიტუზა. მთელი წუთი გავიდა, მაგრამ მოხუცმა ვერ შეამჩნია. ნუკრიმ ვეღარ მოითმინა და შესძახა:

— გამარჯობა, ბებო!

— ვიშ, ქა!.. ხომ არ შელანდები, აგრემც თავს შემოგვევლე!

ამასობაში ლალიც შეეკრიალდა და ბებომ ორთავე ერთად მიიხუტა მკერდზე. შვილიშვილების ალერსით გული რომ აივსო, ბაღიდან გაიხედა. მის ვაჟსა და რძალს ბარგი აივანზე აეტანათ და გრძელ ტახტზე ალაგებდნენ. სიხარულით თავბრუ დაეხვა და ესღა თქვა:

— ზეციერმა გამჩენმა ისე თქვენ გაბედნიეროთ, როგორც მე გამახარეთ.

მეორე დილამ ირიჟრაჟა. წითელქუდა მამალი აივანზე სადგურის უფროსივით დინჯად ავიდა, ტახტზე ახტა, იქიდან ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე აფრინდა და ღია სარკმელში ზედიზედ ისე რმახიანად შესძახა ყიყლიყო, რომ ბებოსთან ერთად, მისი შვილიშვილებიც წამოყარა ლოგინიდან.

— მომიკვდეს თავი, რომ მაგ მამლის დამწყვდევა დამავიწყდა და ასე ადრე დაგიფრთხოთ ძილი... ასეთი თავხედია: ყოველ რიჟრაჟზე ამოდის, სარკმელში შემოჰყოფს თავსა და ვიდრე ამდგარს არ დამინახავს, ყივილს არ წყვეტს...

მამალმა რაკი ერთხელ ადრიანად დააღვიძათ, ნუკრი და ლალიც ყოველდღე მზის ამოსვლის წინ დგებოდნენ, ბებოს წიწილების მოვლასა და ბაღ-ბოსტნის გამარგვლა-მოწყვაში შველოდნენ. ნუკრი ერთობოდა მამისეულ საბავშვო წიგნების კითხვით და წიწი-

ლების მოვლა-პატრონობით. სისხამ დილით ეზოში მოკრეფდა მატიტელას, სიმინდის ფქვილში თბილი წყლით აფშრუკავდა და დამტვრეულ სკამის ფირფიცარზე სადღეობო სუფრასავით მიმოუფენდა. ამიტომ კრუხი წიწილების ხელში აყვანას არ უშლიდა. ხშირად სიამაყითაც კი კუტკუტებდა: ნახეთ რა მარგალიტები დავჩეკეო. ეს ნორჩები ნუკრის ხელის გულზე მშვენივრად გრძნობდნენ თავსა და ბიჭის საალერსო სიტყვების პასუხად სიამით წივწივებდნენ:

— წივ-წავ, წინ-წან, კინ-კან!..

ეს კოპწიები ოქროსფერ ნისკარტებით ფირფიცარს რომ მოასუფთავებდნენ, კრუხს თუთისკენ მიჰყავდა, ნიავისაგან ჩამოყრილი შავი თუთით პირის ჩასატკბარუნებლად, მერე საბალახოდ მოლზე იფანტებოდნენ და ნუკრიც მეტი სიფრთხილით ადევნებდა თვალყურს, რომ ქორს არ აეტაცნა, ან დიდოფალას არ წაეყვანა რომელიმე მათგანი.

დღე დღეს მისდევდა კვირა, კვირას. თვე ისე მიიწურა, რომ ერთი წიწილაც არ დაკარგულა. ერთ დღეს კი—შებინდებისას დათვალა და თოთხმეტი აღმოჩნდა. ბიჭმა მეორედაც დათვალა, მესამედაც და მეოთხედაც, მაგრამ თოთხმეტს აღარც ემატებოდა, აღარც აკლდებოდა. ახლა ბებომ გადახედა და,—თავნება ფრთახატულა აკლიაო. ნუკრის დარდისაგან თვალები დაენამა, მაგრამ მოხუცმა ტკბილად ანუგეშა:

— შენი ჯირის სანაცვლო იყოს... შარშან მე სამი დამეკარგა, შენ კი მხოლოდ ერთი. ნუ ინაღვლებ, თავს შემოგევლე!

ნუკრიმ ფრთახატულა ორ დღეს ეძება—სათონესთან ფიჩხებში, მარანში, საწნახელსა და გოდრებს შორის, ბახუტაანთ ეზოში, ხომიზურაანთ ვენახში, რუსი შვილიანთ სიმინდებში და მაზმანიაანთ ბაღში... მაგრამ ვერსად მიაგნო.

ბიჭმა მაინც ვერ მოისვენა და მესამე დღესაც ეძება. ბოლოს, აუსრულდა გულის წადილი, ფრთახატულა მოიყვანა და ბებოს უამბო:

— ჩვენს უკანა ფერდობზე რომ ჩავდიოდი, წივწივი შემომესმა, შევიხედე ძეძვის ღობეში და, აგერ არ არის! თურმე ჭიაღუაზე უნადირია, ჭიაყელების მწვადებით უქეიფია და ჩიჩახვი ბურთივით გაბერვია, ამიტომ ვეღარ გამოტეულა. მე რომ დამინახა, ახლაც რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ეკლები რომ მიებჯინებოდა ჩიჩახვზე, კვნესით ჩერდებოდა. მეც გამიჭირდა, ხელები დამეკაწრა და ძეძვის ტოტი ავწიე თუ არა, ხელზე შემახტა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!—შეაქო ბებომ.

— ეგ კი არა, ყოჩაღი ძიბულაა, სამ ღამეს მარტო იყო ბნელაში, მაგრამ არც შეშინებია და არც უტირია!—შენიშნა ლალიმ.

ნუკრიმ კი შესძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს მომავალ მამლაყინწას!

— ჰოო, გაის ზაფხულს გარიჟრაჟზე უეჭველად ეგ დაგვაღვიძებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წეროები სიმღერებთან

ციცა ჭიტიაშვილი

მწვანე ტყეში, ულრან ტყეში,
სიმღერები დაფანტულა,
ნეტავი ვინ გააჩადა
ამისთანა ტაშ-ფანდურა.
აქ მუსიკა, იქ მუსიკა,
კაკი, კუკი, კაკუნი
კოდალების, ოფოფების,
ჭიკჭიკების დაკრული,
მოლაღურის მოძახილი,
შოშიების მაერული.

აქ სიმღერა, იქ სიმღერა,
სულ მუსიკას მიეყვები,
ნაძვის ტოტზე განდაგანას
ვინ ტეკვენენ?
ციყვები.
რიკი, რიკი,
რაკი, რუკი,
სმები ნაირ-ნაირი,

ბუბუ, ბუბუ, ბუბუ, ბუბუ,
ბუბულმაც თქვა შაირი.
ტყე ზეიმობს, ტყე სმაურობს—
სიმღერებში ჩაფლული...
ასეთია ჩვენს მხარეში,
ჩვენს სოფელში ზაფხული.

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

„ზეიმი“—ნახატი რუსუდან ზარაძისა. 6 წ.

„ფეხბურთი“—ნახატი ნიკოლოზ ჩოჩელისა, 10 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზ ე მ ი“—ნახატი ირმა ბოგიაშვილისა, 6 წ.

„ჯ ა მ ბ ა ზ ი“—ნახატი ნიკო ხერგეენკოსი, 6 წ.



„რ ო ბ ო ტ ი“—ნახატი ბოგა კანდელაკისა, 6 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზემოთხვევა

ზოთა ასანიშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

— ბიჭო, აკაკი, მოგვასვენე!

— აკაკი, აცალე ხილს დამწიფება!

— აკაკი, შვილო, რა დაგიშავა, რას ერჩი ჩვენ ძაღლს?!

მოუსვენარი იყო პატარა აკაკი. აწიოკებული ჰყავდა სოფლის კრუხ-წიწილა, შეშინებული კატა თუ ძაღლი სათოფეზე არ უჩერდებოდა. მზეს ჯერ რიგიანად არ დაეხედა სოფლისათვის, ის უკვე რომელიმე შეგულებულ ხეზე იჯდა. იმდენად მოაბეზრა თავი დიდსა და პატარას, ზოგმა ხელიც კი ჩაიქნია:—მაგისაგან კაცი არ დადგებაო.

სოფლის თავში ერთი მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდა—შაქარა პაპა.

შაქარა პაპას ბაღჩის ბოლოს შავი ბლის ხე ედგა. ბლის ტოტები ნაყოფით დახუნძლულიყო. ერთხელაც — აკაკი ბალს კენწეროზე მოექცა, ჩუმად სწყვეტდა და აუჩქარებლად შეექცეოდა დათოფლულ ნაყოფს, თან თვალს არ აშორებდა პაპას, იქვე საბძლის წინ ჩრდილში რომ საქმია-

ნობდა. ხეხილით სავსე ეზოში მხოლოდ მოხუცის ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა. აკაკი სიამოვნებით ილოკავდა შავად მოთხუპნულ ტუჩებს და სახეზე ანცი ღიმილი ეფინა.

შაქარა პაპა კაკუნს მორჩა, ცხენის ტაკასთან შივიდა, თვალს დაეჭიდა, ოდნავ ააცილა მიწას და ხელიდან გაუვარდა; ეტყობოდა, ღერძზე ყრას აპირებდა. მერე იქვე ხმელ კუნძზე ჩამოჯდა და ტაკის თვალს მიაშტერდა. აკაკიმ მის თვალებში ნაღველი შენიშნა, სირცხვილით გულ-მუცელი აეწვა, თითქოს ბლით კი არა, ბალღოჯით გამომძღარიყო. ხიდან ძირს ჩამოცოცდა და დარცხვენილი პაპასთან მივიდა:

— მოგეხმარები...

— შენა ხარ, შვილო?—თვალი შეავლო შაქარა პაპამ და დაკოჟრილი მარჯვენა სიყვარულით გადაუსვა ბიჭს თავზე.

მერე ორივენი დაეჭიდნენ თვალს და ღერძს აუყარეს.

მას შემდეგ სოფელმაც დაისვენა და ბაღბოსტანმაც. ამ შემთხვევამ აკაკი სულ სხვა ბიჭად აქცია: სხვის ხეებზე ძრომიალიც მოიშალა და უსაქმობაც. უფრო ხშირად შაქარა პაპას ეხმარებოდა. სოფელში ყველა გაოცებული იყო, ეს ბიჭი ასე რამ შეცვალაო, მაგრამ დანამდვილებით მიზეზი არავინ იცოდა.

# ღრუბლის ლომი

**გივი ჟიჟინაძე**

ღრუბლის ლომი ღრიალებს
ღრუბლის ქაღაქ ქუღაში:
— ქარბორბალამ რა მიყო,
მომაგდიჯა უღვაში!
უუღვაშოდ რაღა ვარ,
ქოსა გავხდი თითქმისო,
ჩემზე ღომი კი არა,
კატაც აღარ ითქმისო!—
ივიშვიშა, იტირა,
ცრემლი ღვარა, ღვარა და,
დაიღია საწყაღი,
სულმთღად დაპატარავდა.
ღრუბლის ღომის ღრიალზე
ძღიერ შეკრთა გვაღვა,
ძღივს მოასწრო გაქცევა,
ტყეში გადამაღვა...
ბოღოს, როცა ზეცაში
მიწყდა ღომის ბღავიღი,
ვეღზე ამოიწვერა
უთვაღავი ყვავიღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრა ტუჩა

ქიშვარდ ისაკაძე

იყო და არა იყო რა!..
მეც ასე ვიწყებ ამ ზღაპარს,
ზღაპარს, რომელიც ცხრატუჩას
თავგადასავალს ასახავს.
იყო ტყე, ტყეში—მიწური,
მიწურში ბელი ცხოვრობდა,
ცხოვრობდა-მეთქი, ცოცხლობდა,
დაბადებული ბოროტად.

დიახ, მას, როგორც სხვა ბელებს,
უპირველესად ყოვლისა
ბოჩოლას ხორცი უყვარდა,
ჯერ ისევ ძუძუმწოვრისა.
მაგრამ ბინდბუნდი მეფობდა,
თუ ბრწყინვალება დილისა,
ბელს ჩქამიც თოფის გასროლა
ეგონა მონადირისა.
ამაში ცამდე მართალი
იყო მსუნაგი დათუჩა,
ის, ერთხელ, ხბოს რომ მისდევდა,
ტყვიას ილბალზე გადურჩა.
მას შემდეგ ტიალ სამწყემსოს
ახლოს არ გაჰკარებია,
ჰამდა ხილს, რაც მის წინაპარს
არასდროს არ ჰყვარებია.
ნთქავდა თვითეულ იჯრაზე
ცხრა ფუთ პანტას და ალუჩას,
რის გამოც, ზედმეტსახელად
ეძახდა ყველა—ცხრატუჩას.
ერთხელ გულში თქვა ცხრატუჩამ:
— დათვი ტყუილად მქვიაო?
მე რა დათვი ვარ, ამდენხანს
გოჭიც არ გამიბრდღვნიაო.—
გაუდგა ბილიკს უღრანში,
ვიწროს, ეკლიან-ლელიანს
და როგორც იქნა, წყაროსთან,
პირისპირ შეხვდა მელიას.
მელამ დათვს თავი დაუკრა:
— საით იჩქარი, უფალო?
— შენ გეძებ!
— რატომ?
— მშია და...
მინდა შეგსანსლო, უბრალოდ!
— როგორც გსურს, შენთვის მზადა ვარ
თავი მე თვითონ გავწირო,
მაგრამ მსურს, ვიდრე შემჭამდე,
საკბილო გაგინაწილო:
გალმა, ნათიბში, ეულად
მიტოვებული კვიცია,
წავალ და მოგგვრი, ჩემს ძვალ-ტყავს
ბევრად სჯობს მისი ჩიჩია.—
სულ მალე კვიცი მელიამ
წყაროსთან მართლა მოდენა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათვს პაწაწინა თვალები
გაუხდა საცრისოდენა.
გაჩაღდა ბრძოლა, კვიცს ყელში
ეცა ცხრატუჩა, მზგბნელი,
მაგრამ პაწია მერანმა
შეიძლო შეუძლებელი:
იმ ავსულ ნადირს თვალებში
მისცხო და მისცხო წიხლები
და ამის შემდეგ რაც მოხდა,
თავადაც კარგად მიხვდებით.
ცხრა დღე და ღამე გაფრინდა,
რაც იმ ცხრატუჩას, ავყიას,
არამც თუ საჭმლის, ცხრა წვეთი
წყლის გემოც არ უნახია.
რა ექნა, ნაცემ-ნაგვემი
ირგვლივ ვერაფერს ხედავდა.
მერე კი მაცდურ მელიას
ეძებდა მინდორ-ველადა...
ერთ დილას, როცა მზე ტყეებს
ბაჯაღლოდ გადაეღვარა,
ცხრატუჩა მელას მაგიერ
ყურაქვიტას გადაეყარა.
— კურდღელს სალამი!
— იცოცხლე!..
სად მიბრძანდები, ბატონო?
— ეშმაკ მელიას დავეძებ.
მაგრამ შენ უნდა დაგტორო!—
ცანცარას მიწა გაუსკდა:
— რა დაგიშავე, რას მერჩი,
თუ გშია, აიმ მინდორში,
ცხვარიც ბევრია, კამეჩიც!
— რაო?.. ცხვარ-კამეჩს რომ ხედავ,
მწყემსს ვეღარ ხედავ თოფიანს?
— მაშინ... ქვეყნის თაფლს გიბოძებ,
ჩემს ხორცს თაფლი არ სჯობია?—
ცხრატუჩამ ჩაიქირქილა:
— მელამ გასწავლა ფანდები?
თაფლს გიბოძებო, რომ ამბობ,
შენ რა, მეფუტკრე ბრძანდები?
— რატომ დამკინი, ერთ კლდეში,
ველურ ფუტკრებს აქვთ მეფობა
და შიგ იმდენი თაფლია,
მთელი სიცოცხლე გეყოფა!—
იმ დღეს ყურაქვიტამ ცხრატუჩას
ცხრა გორა გადაატარა
და დიდ კლდეს მაშინ მიადგნენ,
მზე რომ ჩაბრძანდა ცხრათვალა.
მეგზურმა უთხრა ცხრატუჩას:
— ვიდრე ფრთებს გაშლის ღამეო,
თაფლს ხომ უყურებ, მიდი და,
რამდენიც გინდა, ჭამეო.—
უცბად აბობღდა ცხრატუჩა
კლდეზე დათვური ილეთით,
მაგრამ მას რომ დღე დაადგა,
თქვენს მტერს დაადგეს ისეთი:
ერთ წუთსაც კი ვერ გაუძლო
ფუტკრებს—გულმამაც მეომრებს
და კლდიდან გადმოჩეხის ხმა
ტყეებმა გაიმეორეს.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

# ღა-ძმა

ლავრენტი ჭიჭინაძე

სოსომ და ნათიამ გაიღვიძეს, მამა უკვე წასულიყო სათოხნად მეურნეობის ვენახში. ხშირმა წვიმებმა ბალახი გაათამამა და მეორე თოხი მოითხოვა ვენახმა.

ნათიას დედამ სახლში ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, აბრეშუმის ჭიას წინა დღით მომარაგებული თუთის ფოთოლი დაუყარა. ფუმფულა თეთრი ჭიებიც მაშინვე შეესივნენ, ეტყობოდათ, ღამით ძალიან დამშეულიყვნენ. ბოლოს, ბავშვებიც ასაუზმა და თან დაარიგა:

— ეზოდან გარეთ ნუ გახვალთ, სახლის კარიც არ დაგრჩეთ ღია, თორემ ქათმები შევლენ და ამ ბუხუნხულა ჭიებს სულ გადასანსლავენ,— მერე სოსოს მიუბრუნდა:—ნათიას არ წაეჩხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბო, ეზოში ითამაშეთ, არაფერი გააფუჭოთ. მე სამუშაოდ მივდივარ.

— არა, დედიკო, წესიერად მოვიქცევით,— უთხრა სოსომ.

ბავშვებმა, მართლაც, დიდხანს ითამაშეს, ბოლოს, ნათიამ შინ შესვლა მოისურვა.

სოსოს დედის დარიგება გაახსენდა:

— დედამ ხომ გვითხრა, კარი არ გააღოთ, ქათმები შევლენ, ჭიებს შეჭამენო.

— ჩვენ აქ არა ვართ, არ შევუშვათ.

— მაშინ, მე კართან დავდგები,—თქვა სოსომ.

ნათიამ გადახედა თუ არა ჩელტზე მოფენილ ჭიებს, წამოიძახა:

— უჰ, როგორ დამშეულან! სოსო, მოდი, შეხედე, როგორ ყელყელაობენ, საჭმელი უნდათ!

— დედას თუთის ფოთოლი რომ არ დაუტოვებია?

— ჩვენ მოვკრიფოთ და მოვუტანოთ,—თქვა ნათიამ.

სოსო დაეთანხმა.

გამოიკეტეს კარი, ტომარა წაიღეს და ეზოს ბოლოში რომ თუთა დგას, იმაზე ავიდნენ... დიდი დრო არ დასჭირვებიათ, ტომარა მალე გაავსეს. მერე ერთ მხარეზე სოსომ მოჰკიდა ხელი მეორეზე — ნათიამ და შინ მიიტანეს. მაშინვე შედგნენ ფიცრებზე და ჩელტებზე ისე მოჰფინეს ფოთოლი, როგორც დედამ იცის ხოლმე.

ოჰ, რა ძალიან გაიხარეს ჭიებმა!

დედა გვიან დაბრუნდა, მხრიდან სავსე ტომარა ჩამოიღო.

— თუთის ფოთოლი მოიტანე?—შეეკითხა ნათია.

— აბა, აბრეშუმს ჭამა არ უნდა? სამუშაოს რომ მოვრჩი, მერე ფოთოლი დავკრიფე,—დედამ ოთახის კარი შეაღო და გახარებულმა წამოიძახა:—შვილებო, თუთის ფოთოლი თქვენ მოუტანეთ? მე რომ არ დამივალებია?

— მერე რა, ზოგ რამეს ხომ ჩვენით უნდა მივხვდეთ, განა არ ვიცით, როდის აჭმევ ხოლმე? რომ დაგაგვიანდა, წავედით და ეზოს ბოლოში რომ თუთა გვიდგას, იმაზე მოვკრიფეთ,— თქვა ნათიამ.

დედამ ისე გაიხარა, აღარ იცოდა რა ექნა, ტომარა იქით მიაგდო, მოხვია ხელები ბავშვებს და გულში ჩაიხუტა.

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

# ვაშლის ნერგი

**გიორგი შეთეკაური**

გუშინ დავრგე ვაშლის ნერგი,
როგორ მინდა გაიზაროს,
მიწის გულში ფესვი გადგას,
სწრაფად მხრებში აიზაროს
და დაისხას ისე ბევრი—
ძირს ტოტები დაიზაროს,
სიზარულში გაითენოს,
სიზარულში დაიდამოს,
დაწვიმს? მწვანე ფოთლებიდან
ოქროს წვიმა დაიღვაროს,
მზე დახედავს, ხალისიან
შრიალით არ დაიდალოს,
იშრიალოს, იშრიალოს,
ციმციმ ტანი აიუაროს,
ცას ასწვდეს და კენწეროზე
ვარსკვლავები დაიუაროს!

# „ყოველ-ცალ“

## ფისუნია მძინარა

**ლილი ნუცუბიძე**

კაკლისაგან კალათი
გაუცლიათ თაგუნებს,
ფისუნია მძინარას
თავში წაუთაქუნეს.

## ბოლო

ფარშავანგსა ჰგავს ძალიან,
ბოლო არა აქვს მხოლოდ.
მესამე ასოს შევუცვლით,
შევკვეცავთ ხმოვანს ბოლოს.
ერთად ხეების ჯარია,
სწრაფად მიხვდებით მჯერა.
შემდეგ გვჭირდება მეექვსე
მუსიკალური ბგერა.
შევკრებთ და რაღას იხილავს
კაცი უკეთესს სამზერს,
ზაფხულში მზე რომ პირს იბანს,
გადირკალება ცაზე.

**შამშე აბაშიძე**

## ოსვალდი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები მცენარეების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა: „ყამირი.“

შეადგინა ქ. თბილისის სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ **ირმა ქავთარაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიანჭველა ლანძღულია

**ავთანდილ გურგენიძე**

ონკანიდან წყალი მოჩქეფს,
ატაცახდა მთელი ეზო...
სუყველაფერს ხედავს გია,
სუყველაფერს ხედავს რეზო.
ორივენი ღია ონკანს
აუვლიან, ჩაუვლიან...
ხომ არაფერს ამავებენ,
მაინც დანაშაულია!

## საქანელა

**იმერი ხარაძე**

ჩხირკედელა ზურიკელამ
გააკვირვა ირგვლივ ყველა,—
შინდისხისგან გამოთალა
სათამაშო საქანელა,
შიგ თოჯინა ჩასვა ლელამ,
აქანავებს ნელა-ნელა...

## ჩემი ბალჩა

**გიორგი წერეთელი**

შარშან იყო, ხეხილი
ჩემი ხელით გავსხალი,
წელს კი უხვად დაისხა
ვაშლი, კომში და მსხალი.



76095




ნახატები **ედუარდ ამგოკაძისა**

## რობერ მოაგყუა თაგუნიამ ფისო

თაგუნიას მოხალული ნიგვზის სუნი ეცა. ხაფანგთან მიკუნცულდა, მაგრამ თათის ხლება ვერ გაბედა. სად იყო, სად არა, ფისო გაჩნდა და თაგუნა დაიჭირა.

— ვიდრე შემჭამდე, ერთი სურვილი შემისრულე,— თხოვა თაგუნიამ.

— გისმენ.

— მეცი პატივი და ერთი ის დაბრაწული ნიგოზი მომაწოდე.

— ჯანდაბას შენი თავი.

მაგრამ თათი გასწია თუ არა, ხაფანგი დასხლტა და მოტყუებულ ფისოს თათი შიგ მოიყოლა. გახარებულმა თაგუნამ სოროსაკენ მოუსვა.


**მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი**

**სარედაქციო კოლეგია:** ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ედუარდ ამგოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა ბრეგვლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი რობინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქემერტელიძე, რობერტ ლარიბაშვილი, ბივი ძნელაძე.

| | |
|---|---|
| საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა<br>Издательство ЦК КП Грузии | საქ. ახალგ. ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის **რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი.**<br>ყდაზე ნახატი „ნატურმორტი", — გიორგი გაფრინდაშვილისა, 8 წლის.<br>ტექრედაქტორი **ეროდ ჩარგეთელი** გამოცემის 52-ე წელი. |

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; ვანყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 2/VIII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-79 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈ ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 158.000. შეკვ. № 866 „Дила" № 6. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.